კოვიდ-19-ის ვირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა სამედიცინო პერსონალზე

თამთა ზამბახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არაა მოხსენიებული ან ციტირებული სათანდო წესების შესაბამისად.

თამთა ზამბახიძე

_____

თარიღი: 08.02.2022

მადლობა:

ელენე გავაშელიშვილს ხელმძღვანელობისთვის და მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, გვერდში დგომისა და გამხნევებისთვის.

რესპონდენტებს, რომლებმაც მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, დამითმეს დრო და გულწრფელად უპასუხეს ჩემ მიერ დასმულ ყველა კითხვას.

აბსტრაქტი:

Covid-19-ის ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ თითქმის ყველა სფერო მოიცვა. მისგან წარმოქმნილი ცვლილებები შეეხო მთელ მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც. პანდემიის დაწყებდან დღემდე განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს, რომელსაც ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს პირველადი ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლების, ექიმებისა და ექთნების მიერ გაწეული შრომა პანდემიის პირობებში. ამასთანავე ნაშრომი აჩვენებს იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომლის წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ პანდემიის დაწყებიდან დღემდე.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზისა და არსებული ემპირიული კვლევების მიმოხილვა ეხმიანება იმ შედეგებს, რომლებიც თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით იქნა მიღებული. ნაშრომი წარმოაჩენს პანდემიის პირობებში ექიმებისა და ექთნების გართულებულ შრომით პირობებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც მათ საოჯახო როლებს უკავშირდება. სამედიცინო სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული მოვალეობის შესრულების უკეთ გადმოსაცემად ვიყენებ „ემოციური შრომის“ ცნებას, რომელიც დაკავშირებულია სამედიცინო პერსონალსა და პაციენტს შორის ჩამოყალიბებულ კეთილგანწყობილ ურთიერთობასთან. ტერმინი ემოციური შრომა განიმარტება, როგორც „გრძნობების მართვა, რომლის შედეგადაც იქმნება საჯაროდ დაკვირვებადი სახე. ემოციური შრომა იყიდება ხელფასის სანაცვლოდ და მას გააჩნია გაცვლითი ღირებულება.” (HOCHSCHILD, The Managed Heart 2003). ექიმებისა და ექთნების მიერ გაწეული ემოციური შრომის შედეგად პაციენტს უჩნდება სანდოობის განცდა, ხოლო სამედიცინო პერსონალი ემოციური გამოფიტვისა და გადაღლისკენ არის მიდრეკილი.

ძირითადი ტერმინები: „სამედიცინო პერსონალი“, „კოვიდპანდემია“, „პირველადი ჯანდაცვა“, „ემოციური შრომა“.

Abstract:

The Covid-19 virus pandemic has affected almost every area. The changes caused by it affected the whole world, including Georgia. From the beginning of the pandemic to the present day, the medical staff of health care has a special duty, which plays a key role in the fight against the virus.

Due to the urgency of the topic, the thesis aims to examine the work done during pandemic by representatives of the primary health care system, doctors and nurses. In addition, the thesis shows the difficulties and challenges they have faced since the beginning of the pandemic.

The analysis of the literature related to the research topic and the review of existing empirical studies respond to the results, that were obtained using qualitative research methods through in-depth interviews with a specific target group.

The thesis presents the difficult working conditions of doctors and nurses during pandemic and the obstacles associated with their family roles. In order to better report the professional duties of people working in the medical field, I use the concept of 'emotional labor', which is related to the favourable relationship established between the medical staff and the patient. The term emotional labor is defined as “the management of emotions that results in a publicly observable face”,Emotional labor is sold in return for a salary and it has an exchange value. As a result of the emotional work done by doctors and nurses, the patient develops a sense of trust, while the medical staff is liable to emotional exhaustion and fatigue.

Key terms: “Medical staff”, “Covid-pandemic”, “Primary health care”, “Emotional labour”